ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 1 დეკემბრის სხდომის

ოქმი #5

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წლის 1 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 36 წევრი (აქედან 4 წევრი მეორე საკითხიდან დაესწრო სხდომას). სხდომას ასევე ესწრებოდა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ. ჭელიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. იმპაქტ-ფაქტორის მქონე სტატიების ანაზღაურების შესახებ;
2. ფაკულტეტის საბჭოს პოზიციის დაფიქსირება დაგეგმილ განათლების რეფორმასთან დაკავშირებით;
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - იმპაქტ-ფაქტორის მქონე სტატიების ანაზღაურების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა პ. ბაბილუამ. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტის "შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების" მუხლში გათვალისწინებულია დაფინანსება ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გაცემის მიზნით. ამჟამად წარმოდგენილი 31 სტატია დაფინანსდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ავტორების სია სახელფასო დანამატის მითითებით წინასწარ დაეგზავნა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ. შათაშვილმა, ა. შენგელაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სტატიებზე სახელფასო დანამატის გაცემის შესახებ, წარმოდგენილი სიის მიხედვით (იხ. დანართი 1).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო ადგენს, რომ ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ერთ სტატიაზე გასაცემი თანხა Q1 რანჟირებით განისაზღვროს 3000 ლარით, ხოლო სხვა იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიები - 2500 ლარით, ამასთან, ერთ აკადემიურ პერსონალზე დაფინანსდეს 1 სტატია, თანდართული სიის შესაბამისად.

საფაკულტეტო დაფინანსების თანხა (სულ 79 500 ლარის ოდენობით) გაიცეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ფაკულტეტის საბჭოს პოზიციის დაფიქსირება დაგეგმილ განათლების რეფორმასთან დაკავშირებით. ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ ისაუბრა განათლების რეფორმის ძირითად პრინციპებზე, აღნიშნა, რომ ამ მომენტისთვის რეფორმის დეტალები და დადასტურებული ინფორმაცია ცვლილებებისა დარგების მიხედვით არ არის ცნობილი. სხდომას წინ უსწრებდა დეპარტამენტებისა და ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთა შეხვედრა რექტორთან. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის მხრიდან გამოითქვა ფაკულტეტების/დეპარტამენტების წარმომადგენლებთან შეხვედრის მზაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მათი სურვილის შემთხვევაში. როგორც დეკანმა აღნიშნა, რექტორთან ბოლოს ჩატარებულ შეხვედრაზე მკაფიოდ გაჟღერდა რექტორის მხრიდან, რომ ნებისმიერ უნივერსიტეტში ცვლილებები განხორციელდება კონკრეტულ უნივერსიტეტთან კონსულტაციების გათვალისწინებით. ამ მომენტისათვის არ არსებობს არანაირი დადასტურებული ოფიციალური ინფორმაცია უნივერსიტეტებში ფაკულტეტების გადანაწილების შესახებ. ერთიანი ფორმით ფაკულტეტის შენარჩუნება ფაკულტეტში გაერთიანებული დარგების შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი პირობაა. იმის გათვალისწინებით, რომ არასაკმარისი მონაცემები გვაქვს, ფუჭი მსჯელობა რომ თავიდან ავიცილოთ, მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ ძირითადი პათოსი დავაფიქსიროთ - ერთიანი უნივერსიტეტი, ერთიანი ფაკულტეტი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა. გამყრელიძემ, ა. შენგელაიამ, ნ. შათაშვილმა, მ. ხაჩიძემ, დ.ძიძიგურმა, რ. გახოკიძემ, ი. ჩიკვაიძემ, გ. სირბილაძემ, გ. ღვედაშვილმა, მ. ცინცაძემ, თ.ჭელიძემ, სტუდენტმა ი. ქავთარაძემ. პროფ. ა. გამყრელიძემ ხაზი გაუსვა, რომ კონცეპტუალურად ტექნოლოგიური დარგები განსხვავდება ფუნდამენტური დარგებისგან და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს რეფორმის დროს. ამასთან, რეფორმის პროცესი არ უნდა აზიანებდეს უნივერსიტეტის ავტონომიას. პროფ. ა. შენგელაია წუხდა იმაზე, რომ უნივერსიტეტის გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება უნივერსიტეტის გარეთ, პროფესურის მონაწილეობის გარეშე. პროფ. ნ. შათაშვილმა ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო მიღწევებზე და მათ მნიშვნელობაზე უნივერსიტეტის საერთაშორისო რეიტინგისათვის. პროფ. მ. ხაჩიძე დაინტერესდა რეფორმის ავტორებითა და მათი კომპეტენციით განათლების დარგში. მან გამოთქვა სურვილი, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრთან შეხვედრის ორგანიზება. პროფ. დ. ძიძიგურმა ასევე გამოთქვა წუხილი, რომ ასეთი დოკუმენტების მიღება ხდება უნივერსიტეტებთან შეთანხმების გარეშე. ისიც დაეთანხმა საუნივერსიტეტო საზოგადოების მინისტრთან შეხვედრის აუცილებლობას. პროფ. რ. გახოკიძემ გაიხსენა უნივერსიტეტის სახელოვანი ისტორია და მისი პრესტიჟი. „ მეცნიერთა იმ დიდი კოჰორტის წინაშე, რომელიც თსუ-მ მისცა ქვეყანას, ჩვენ ვალდებულნი ვართ დავიცვათ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მთლიანობა, ტრადიციებს გაფრთხილება უნდა“ - აღნიშნა მან. პროფ. გ. სირბილაძემ ისაუბრა სამომავლო, ინტერდისციპლინური სასწავლო და კვლევითი პროგრამების მნიშვნელობაზე. პროფ. გ. ღვედაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენი ფაკულტეტი სრულად პასუხობს STEM კონცეფციას. სტუდენტმა ი. ქავთარაძემ დასვა შეკითხვა თსუ-ს მომავალი ინფრასტრუქტურული მოწყობის შესახებ, რაზეც დეკანმა უპასუხა, რომ ეს ამ ეტაპზე ცნობილი არ არის და მომდევნო წლების პრეროგატივაა. ასოც. პროფ. თ. ჭელიძემ აღნიშნა, რომ ინტერნაციონალური სტუდენტების მიღების აკრძალვა, რაც უკვე ჩანს უმაღლესი განათლების რეფორმის კონცეფციიდან, დიდ ზიანს მიაყენებს უნივერსიტეტის რეიტინგს საერთაშორისო რანჟირების სისტემებში.

ბოლოს მიმართვის ტექსტის დოკუმენტთან დაკავშირებით გაიმართა სჯა-ბაასი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი დოკუმენტის დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 36, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ფორმით ფაკულტეტის საბჭოს პოზიცია დაგეგმილ განათლების რეფორმასთან დაკავშირებით (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. ამ განყოფილებაში ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინა დოქტორანტების სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტების სადოქტორო თემები და ხელმძღვანელები შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

- **სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“**
  დოქტორანტი **ირაკლი სიხარულიძე**
  სადოქტორო დისერტაციის თემის დასახელება "რიმანის ზედაპირებზე ელიფსურ განტოლებათა სისტემის ამონახსნთა სივრცის ზოგიერთი ალგებრული და ანალიზური თვისებების შესახებ" შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად "ფსევდოანალიზური ფუნქციებისა და დიფერენციალური ფორმების სივრცეთა და მათ კონათა ზოგიერთი თვისების შესახებ". ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი გრიგოლ გიორგაძე

- **სადოქტორო პროგრამა „ კომპიუტერული მეცნიერებები“**
  დოქტორანტი **არჩილ ელიზბარაშვილი**
  სადოქტორო დისერტაციის თემის დასახელება: „დაკავშირებულ მონაცემებზე დაფუძნებული ქართული ზმნების ლემატიზების ერთიანი სისტემა მანქანური სწავლებისა და ტრანსლიტერაციის ტექნიკის გამოყენებით“. ხელმძღვანელები პროფესორი მაგდა ცინცაძე და რენის უნივერსიტეტის პროფესორ-ემირიტუსი მირეი დუკასე.

- **სადოქტორო პროგრამა „ ბიოლოგია“**
  დოქტორანტი: **სალომე კიპაროიძე**
  სადოქტორო დისერტაციის თემის დასახელება: „ქოლესტაზის პირობებში ზრდასრული ვირთაგვას ჰეპატოციტების პოლიპლოიდიზაცია და ღვიძლის ადაპტაციური ზრდის თავისებურებები“. ხელმძღვანელი: პროფესორი დიანა ძიძიგური, თსუ.

  დოქტორანტი: **ანა ქვლივიძე**
  სადოქტორო დისერტაციის თემის დასახელება: "გვარ Dactylorhiza-ს მორფო-გენეტიკური კვლევა, მათი დელიმიტაცია და კონსერვაცია საქართველოში (სამხრეთ-დასავლეთ კავკასია)". ხელმძღვანელი - პროფესორი მაკა მურვანიძე, თსუ, თანახელმძღვანელი -

ასისტენტ პროფესორი მარინე ბოკერია, თსუ, თანახელმძღვანელი - პროფესორი ე. ფიშერი, კობლენცის უნივერსიტეტი, გერმანია.

დოქტორანტი: **ნანა ბარნაველი**
სადოქტორო დისერტაციის თემის დასახელება: „ასკილის გვარის (Rosa L.) მრავალფეროვნება, ტაქსონომია, კონსერვაცია და გავრცელება საქართველოში“. ხელმძღვანელი - პროფესორი მაკა მურვანიძე, თსუ, თანახელმძღვანელი - ასისტენტ პროფესორი მარინე ბოკერია, თსუ, თანახელმძღვანელი - ზეზვა ასანიძე, ბიოლოგიის დოქტორი, მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დოქტორანტი: **ინგა კუპრაძე**
სადოქტორო დისერტაციის თემის დასახელება: „ალგეთის ეროვნული პარკის ლიქენების ბიომრავალფეროვნება“. ხელმძღვანელი - პროფესორი მაკა მურვანიძე, თსუ, თანახელმძღვანელი - ასისტენტ პროფესორი მარინე ბოკერია, თსუ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება

1918 წელს, ქართული საზოგადოების მრავალწლიანი ძალისხმევის შედეგად, დაფუძნდა ამიერკავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი - მრავალდარგოვანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი, დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). თსუ არ წარმოადგენს მხოლოდ მისი სტუდენტებისა და თანამშრომლების საკუთრებას, ის არის მთელი ქართველი ერის უნივერსიტეტი, ეროვნული თვითმყოფადობის სიმბოლო და ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილი. მისი მთლიანობის დარღვევა იქნება გამოუსწორებელი შეცდომა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი წარმოადგენს იმ საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო ფაკულტეტის სამართალმემკვიდრეს, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისთანავე - 1918 წელს დაფუძნდა. თსუ-ს, როგორც კვლევითი უნივერსიტეტის, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში მიღწეულ წარმატებებში აღნიშნულ ფაკულტეტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს - უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ საერთაშორისო დონეზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების აღიარებისა და ციტირებების 90%-ზე მეტი სწორედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერებების ნაშრომებზე მოდის.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, დღეისთვის მოქმედ 40 საგანმანათლებლო პროგრამას შორის, სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო ABET აკრედიტირებულ საბაკალავრო პროგრამებს ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში და კომპიუტერულ მეცნიერებაში (ქართულ და ინგლისურ ენებზე), ACS სერტიფიცირებულ საბაკალავრო პროგრამას ქიმიაში (ინგლისურ ენაზე), ორმაგის ხარისხის კომპიუტერული მეცნიერების ქართულ-ფრანგულ საბაკალავრო პროგრამას (პარტნიორი ევრის უნივერსიტეტი, საფრანგეთი), ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამას ფიზიკაში (პარტნიორი ლ'აკვილას უნივერსიტეტი, იტალია). ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს წამყვან აკადემიურ და სამეცნიერო ცენტრებში.

ფაკულტეტის საბჭო, როგორც პასუხისმგებელი ორგანო ფაკულტეტზე თსუ-ის აკადემიური ტრადიციების შენარჩუნებასა და განახლება/განვითარებაზე, აცხადებს შემდეგს: <u>ფაკულტეტის არსობრივი და ინფრასტრუქტურული ერთიანობის დარღვევა მიაყენებს სერიოზულ და გამოუსწორებელ ზიანს არა მხოლოდ თსუ-ს, როგორც ეროვნული მნიშვნელობის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, არამედ ქვეყნის მთელ საზოგადოებას.</u>

ფაკულტეტის საბჭოს წევრები

1. ბაბილუა პეტრე - ასოცირებული პროფესორი, ფაკულეტის დეკანი
2. ამაღლობელი მიხეილ - ასოცირებული პროფესორი,
3. დავითაშვილი თინათინ - ასოცირებული პროფესორი,
4. ნადარაია ელიზბარ - პროფესორი,
5. ომანაძე როლანდ - პროფესორი,
6. ფურთუხია ომარ - პროფესორი,
7. გამყრელიძე ალექსანდრე - პროფესორი,
8. სირბილაძე გია - პროფესორი,
9. ცინცაძე მაგდა - პროფესორი,
10. ხაჩიძე მანანა - პროფესორი,
11. ხვედელიძე ტარიელ - ასოცირებული პროფესორი,
12. კერესელიძე თამაზ - პროფესორი,
13. უგულავა არჩილ - პროფესორი,
14. შათაშვილი ნანა - პროფესორი,
15. შენგელაია ალექსანდრე - პროფესორი,
16. გახოკიძე რამაზ - პროფესორი,
17. ჩიკვაიძე იოსებ - პროფესორი,
18. თაყაიშვილი ნინო - ასისტენტ პროფესორი,
19. ლობჟანიძე თეა - ასოცირებული პროფესორი,
20. დორეული ნანული - პროფესორი,
21. კოტრიკაძე ნანული - პროფესორი,
22. კოშორიძე ნანა - პროფესორი,
23. ძიძიგური დიანა - პროფესორი,
24. კერესელიძე დავით - პროფესორი,
25. მაჭავარიანი ლია - პროფესორი,
26. ნიკოლაიშვილი დალი - პროფესორი,
27. სეფერთელაძე ზურაბ - პროფესორი,
28. ღვედაშვილი გიორგი - პროფესორი,
29. ქუთელია გურამ - ასოცირებული პროფესორი.

სტუდენტური თვითმმართველობა

1. ამბროსაშვილი ლუკა,
2. ბარავკოვი ალექსანდრე,
3. გუგუნაძე თეონა,
4. თათელაძე ელენე,
5. ლეფსაია ალექსანდრე,
6. სანადირაძე სალომე,
7. ქავთარაძე ილია.